წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N7
24 თებერვალი 2023 წ.

ქ. წალენჯიხა

"წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/06/2022 წ, სარეგისტრაციო კოდი:010250050.35.104.016478) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის ,,ა.ბ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა.ბ) კადრების აღრიცხვას, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) მართვას და ადმინისტრირებას, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების წარმოებას (ელექტრონული და მატერიალური ვერსიები), მათი სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაში გასვლის, სამივლინებო, საპენსიო და სხვა დოკუმენტების მომზადების კოორდინაციას და მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოწმობების გაფორმებას და აღრიცხვას;''

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კორნელი სალია**